საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 359

05 06 2017წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2017 წლის 31 მაისის №568806 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და მისი დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

დანართი

პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) ან/და მოდულის შემუშავების, არსებულ პროფესიულ სტანდარტში, ჩარჩო დოკუმენტსა ან/და მოდულში ცვლილების შეტანის ან გაუქმების წესს. ასევე, ამ წესით დგინდება პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის შემუშავებაში მონაწილე პირებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინიციატორი - დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა (შემდგომში - ცენტრი), რომელიც:

ა.ა) წარმოადგენს ინიციატივას ახალი პროფესიული სტანდარტის ცენტრის მიერ შემუშავების შესახებ;

ა.ბ) გამოხატავს მზაობას ახალი პროფესიული სტანდარტის შემუშავების შესახებ;

ა.გ) წარმოადგენს ინიციატივას არსებულ პროფესიულ სტანდარტში ცვლილების განხორციელების შესახებ;

ა.დ) წარმოადგენს ინიციატივას არსებულ ჩარჩო დოკუმენტსა ან/და მოდულში/მოდულებში ცვლილების განხორციელების შესახებ;

ა.ე) წარმოადგენს ინიციატივას ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის/მოდულების შემუშავების შესახებ.

ბ) სამუშაო ჯგუფი - პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის ან მოდულის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნილი შესაბამისი პირებისგან შემდგარი ჯგუფი;

გ) პროფესიული სტანდარტის შექმნის მეთოდოლოგია - პროფესიული სტანდარტის შექმნის რომელიმე, საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე პროფესიებსა და კომპეტენციებზე მოთხოვნის ანალიზს, დარგის სპეციალისტთა სავალდებულო ჩართულობას და ითვალისწინებს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს;

დ) გარე შეფასება/ექსპერტიზა - პროფესიული სტანდარტის პროექტის შეფასების პროცესი, რომელიც ითვალისწინებს დოკუმენტის შეფასებას სფეროს იმ სპეციალისტების მიერ, რომლებიც არ არიან სამუშაო ჯგუფის წევრები.

მუხლი 3. პროფესიული სტანდარტის ინიცირება

1. ცენტრში ინიციატივის წარმოდგენა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად.

2. ახალი პროფესიული სტანდარტის შემუშავების მზაობის გამოხატვის ან/და არსებულ პროფესიულ სტანდარტში ცვლილებების შეტანის ან მათი გაუქმების ინიცირებისას ინიციატორი განაცხადს დამატებით დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) დამტკიცებული/ შემუშავებული პროფესიული სტანდარტების ანალიზს;

ბ) შემუშავების/ცვლილების დასაბუთებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ან შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს კომპეტენციის დამატების, ან/და ამოღების აუცილებლობის შესახებ, ან სფეროში ახალი კომპეტენციის/კომპეტენციების დანერგვის საჭიროებას.

3. პროფესიულ სტანდარტში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად ინიციატორი წარმოადგენს ამავე პროფესიული სტანდარტის ცვლილების პროექტს.
4. ახალი პროფესიული სტანდარტის შემუშავების მზაობის გამოხატვისა და ინიციატორის მიერ შემუშავებული პროფესიული სტანდარტის განსახილველად წარმოდგენის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად, ამ წესით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, ინიციატორი წარმოადგენს ამავე პროფესიული სტანდარტის პროექტს და ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ დოკუმენტებს.
5. ცენტრი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ინიციატორს მათ გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 15 დღეს. ცენტრი უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
6. ცენტრი ინიციატივის შესახებ ამზადებს წერილობით პოზიციას და უზრუნველყოფს მის განხილვას შესაბამის დარგობრივ საბჭოზე, დაინტერესებულ პირთა ჩართულობით. დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ცენტრის ან/და ინიციატორის მიერ მოწვეული დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელი ან სხვა ნებისმიერი პირი.

მუხლი 4. ცენტრის მიერ პროფესიული სტანდარტის შემუშავება/გადამუშავების ინიცირება

1. პროფესიული სტანდარტის შემუშავების/გადამუშავების საფუძველი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
ა) სახელმწიფო დაწესებულების ინიციატივით ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგი;
ბ) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადა;
გ) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნა;
ე) დარგობრივი საბჭოს ინიციატივა;
ვ) ჩარჩო დოკუმენტის გადამუშავება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობის შემთხვევაში, გარდა „ვ)“ პუნქტისა, პროფესიული სტანდარტის შემუშავება/გადამუშავების დაწყების საფუძველია ცენტრის დირექტორის თანხმობა.
3. ცენტრი ვალდებულია პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვისა უზრუნველყოს პროფესიულ სტანდარტის საჯაროობა (ვებ-გვერდზე გამოქვეყნება), პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის, შესაბამისი დარგობრივი საბჭოს წევრებისთვის და სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციებისათვის (შემდგომში დაინტერესებული მხარეები) გადაგზავნა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.
4. დაინტერესებულ მხარეებს ცვლილებების ასახვისა და ცენტრისთვის მიწოდებისთვის განესაზღვროთ 15 კალენდარული დღე.
5. ცენტრი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ცვლილებების შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განხილვას.
6. დარგობრივი საბჭოს პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ პროფესიული სტანდარტის გადამუშავების რეკომენდაციის გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში პროფესიული სტანდარტი უნდა გადამუშავდეს ამ წესის მეხუთე მუხლის თანახმად.

მუხლი 5. პროფესიული სტანდარტის შემუშავება

1. პროფესიული სტანდარტის პროექტი შემუშავებული უნდა იქნას ცენტრის მიერ შემუშავებული ან საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.
2. პროფესიული სტანდარტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) პროფესიული სტანდარტის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე;
ბ) პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი;
გ) პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის" ISCO-08 მიხედვით;
დ) დასაქმების სფეროს აღწერა;
ე) დასაქმების შესაძლებლობები;
ვ) პროფესიული მოვალეობები და ამოცანები, ცოდნა და უნარები;
ზ) პროფესიული მოთხოვნები და პიროვნული თვისებები;
თ) მატერიალური რესურსი;
ი) სტანდარტის მოქმედების ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
კ) პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები;
ლ) საჭიროებისამებრ სხვა დამატებითი ინფორმაცია.
3. პროფესიული სტანდარტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაცია (2006/962/EC) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის საჭირო რვა საკვანძო კომპეტენციის შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პირის პროფესიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას.
4. პროფესიული სტანდარტის ნაწილია შეფასების სტანდარტი, რომელიც მოიცავს:
ა) შეფასების სტანდარტის მიზანს;
ბ) მითითებებს შესაფასებელი პირისა და შემფასებლისთვის;
გ) შეფასების პროცედურას;
დ) თეორიული გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების/დავალებების თემატიკას;
ე) პრაქტიკული დავალების/დავალებების ნიმუშს, მათი შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებით;
ვ) სხვა დამატებით ინფორმაციას.
5. პროფესიული სტანდარტის პროექტის შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს არანაკლებ 7 და არაუმეტეს 14 პროფესიის/დარგის სპეციალისტი და, საჭიროების შემთხვევაში, განათლების სპეციალისტი. სამუშაო ჯგუფში 7 პროფესიის/დარგის სპეციალისტზე/წევრზე ნაკლების არსებობის შემთხვევაში, პროფესიული სტანდარტის პროექტს თან უნდა დაერთოს დასაბუთება სამუშაო ჯგუფის წევრთა შვიდზე ნაკლები რაოდენობის მიზეზის შესახებ.
6. ამ წესის მიზნებისათვის პროფესიის/დარგის სპეციალისტი არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:
ა) შესაბამის პროფესიაში/დარგში საქმიანობის გამოცდილება;
ბ) წარმოადგენს შესაბამის პროფესიაში/დარგში არსებულ პროფესიულ ასოციაციას ან/და პასუხისმგებელ სახელმწიფო დაწესებულებას;
გ) შესაბამის პროფესიაში/დარგში კონკრეტულ პროფესიის/პროფესიებში მოვალეობა-ამოცანების/სამუშაოს აღწერილობის ჩამოყალიბება-ფორმირებაში მუშაობის გამოცდილება.
7. გარე შეფასება/ექსპერტიზა განხორციელებულად ითვლება არანაკლებ 5 საექსპერტო დასკვნის არსებობის შემთხვევაში. ხუთ შეფასებაზე/საექსპერტო დასკვნაზე ნაკლების არსებობის შემთხვევაში, პროფესიული სტანდარტის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დასაბუთება.

8. პროფესიული სტანდარტის გადამუშავების შემთხვევაში საჭიროა პროფესიული სტანდარტის თავდაპირველი სამუშაო ჯგუფის წევრთან/წევრებთან გარე შეფასების/ექსპერტიზის გავლა, თუ ისინი ჩართულნი არ იყვნენ პროფესიული სტანდარტის გადამუშავებაში, ასეთის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.
9. საექსპერტო დასკვნის ფორმა განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.
10. პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით.

მუხლი 6. პროფესიული სტანდარტის პროექტის განხილვა

1. პროფესიული სტანდარტის პროექტს თან უნდა დაერთოს:
ა) პროფესიათა ანალიზის დოკუმენტი;
ბ) შეთანხმებული დაკუმ-სქემა (ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, დანართი №2-ის შესაბამისად) ან საერთაშორისოდ აპრობირებული რომელიმე მეთოდოლოგიით შემუშავებული შრომის ბაზრის ანალიზი, რითაც დადგინდა შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიები ან/და კომპეტენციები;
გ) საექსპერტო დასკვნები (დანართი №1-ის შესაბამისად);
დ) შემაჯამებელი ცხრილები (ვერიფიკაცია) (დანართი №3-ის შესაბამისად);
ე) ინფორმაცია პროფესიული სტანდარტის პროექტის შემუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ (გარდა ცენტრის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტების პროექტებისათვის);
ვ) ინფორმაცია პროფესიული სტანდარტის სამუშაო ჯგუფის წევრების კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ (გარდა ცენტრის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტების პროექტებისა).
2. ამ მუხლის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობა პროფესიული სტანდარტის პროექტის განხილვაზე უარის თქმის საფუძველია.
3. ცენტრი, პროფესიული სტანდარტის პროექტის ინიცირებისას, ამზადებს წერილობით პოზიციას (გარდა ცენტრის ფარგლებში შემუშავებული სტანდარტების პროექტებისა) და უზრუნველყოფს მის განხილვას შესაბამის დარგობრივ საბჭოზე მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.
4. საბჭოს მიერ დადებითი რეკომენდაციის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიული სტანდარტის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება ცენტრის დირექტორს.

მუხლი 7. მოთხოვნები პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიმართ

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) პროექტის შემუშავების საფუძველია ერთი ან რამდენიმე პროფესიული სტანდარტი/პროფესიული სტანდარტის პროექტი.
2. ჩარჩო დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) აგებულია მოდულებით;
ბ) ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე;
გ) ორიენტირებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობაზე;
დ) ორინტირებულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე.
3. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს ერთ ძირითად დოკუმენტს და მოდულებს.
4. ჩარჩო დოკუმენტის ძირითადი დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე;
ბ) სარეგისტრაციო ნომერი;
გ) ჩარჩო დოკუმენტის მიზანი;

დ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;
ე) დასაქმების შესაძლებლობები;
ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე;
ზ) სწავლის შედეგები, ერთზე მეტი კვალიფიკაციის შემთხვევაში თითოეული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;
თ) ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურა და მოდულები;
ი) საჭიროებისამებრ ინფორმაცია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განხორციელების შესახებ, მათ შორის განხორციელების ენის შესახებ;
კ) სწავლის შედეგების დადასტურების, კრედიტის დაგროვებისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
ლ) ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესახებ შემდეგ ჩანაწერს - შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი პირობების დაცვით - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შშმ სსსმ პირებზე ამ ჩანაწერის გავრცელება შეუძლებელია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
მ) ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების საფუძვლებისა და მოქმედების ვადის შესახებ;
ნ) ინფორმაცია ჩარჩო დოკუმენტზე საავტორო უფლებების შესახებ.

5. ჩარჩო დოკუმენტის ძირითადი დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოიცავდეს ამ მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა დამატებით სხვა ინფორმაციას.

6. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე ერთერთი შემდეგი გზით:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

7. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების პირობებს. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

8. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

9. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობას, რომელიც წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამატივას და

ხორციელდება პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების შედეგად.

10. ჩარჩო დოკუმენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ამავე ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლად არსებული პროფესიული სტანდარტების ვადებიდან უმცირესი ვადით;

11. ჩარჩო დოკუმენტის ძირითად დოკუმენტს რეკომენდაციის სახით თან ერთვის ამავე ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი მოდულის დასახელების მითითებით (დანართი №4).

12. ჩარჩოს ძირითადი დოკუმენტი განსაზღვრავს ისეთ პროფესიულ/დარგობრივ, ან, საჭიროების შემთხვევაში, ზოგად მოდულებს, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ქმნის პროფესიულ სპეციალიზაციას/სპეციალიზაციებს.

13. ზოგადი მოდულის მიზანია, ხელი შეუწყოს პირისთვის ზოგადი, ტრანსფერული უნარების შეძენა-განვითარებას და უზრუნველყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების გამომუშავება, თუმცა ამავე უნარების გამომუშავება შესაძლებელია ჩარჩო დოკუმენტში ზოგადი მოდულის/მოდულების გათვალისწინების გარეშე ინტეგრირდეს პროფესიულ/დარგობრივ მოდულებში.

14. ზოგადი მოდულები სარეკომენდაციო სახისაა და მისი ჩარჩო დოკუმენტში ინტეგრირება ხდება ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში/გადამუშავებაში ჩართული პირების მიერ.

15. პროფესიული/დარგობრივი მოდულის მიზანია, უზრუნველყოს მოვალეობებისა და ამოცანების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა, ასევე შესაძლოა, ითვალისწინებდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების, ტრანსფერული უნარების გამომუშავებას.

16. ჩარჩო დოკუმენტით განისაზღვრება პროფესიული სპეციალიზაციის/სწავლის სფეროს ფარგლებში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა. რამდენიმე პროფესიული სპეციალიზაციის/სწავლის სფეროს შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება თითოეულისათვის ცალ-ცალკე. ფორმალურ პროფესიულ განათლებაში ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სწავლება-სწავლის სრული დატვირთვის რეჟიმში მიღწეული სწავლის შედეგები განისაზღვრება 60 კრედიტით.

17. კრედიტის გაანგარიშება ხდება სწავლის შედეგის მნიშვნელოვნების, სირთულის ან/და პირის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ძალისხმევის გათვალისწინებით.

18. მოდულის სტრუქტურა მოიცავს ზოგად ინფორმაციას, სტანდარტულ და დამხმარე ჩანაწერებს.

19. მოდულის სტრუქტურის ზოგადი ინფორმაცია მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) მოდულის სახელწოდება;

გ) გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი და მოქმედების ვადა;

დ) კრედიტი;

ე) მოდულზე დაშვების წინაპირობა;

ვ) მოდულის აღწერა.

20. მოდულის სტრუქტურის სტანდარტული ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სწავლის შედეგები;

ბ) შესრულების კრიტერიუმები;

გ) კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები;

დ) შეფასების მიმართულება.

21. მოდულის სტრუქტურის დამხმარე ჩანაწერები მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თემატიკის, სწავლება-სწავლის, შეფასების მეთოდის/მეთოდების, მტკიცებულებების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესახებ, მოდულის შემუშავებაში ჩართული პირების მონაცემებს და დამატებით სხვა საჭირო ინფორმაციას.

20. ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, რომელიც მოიცავს შემდეგს: საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

21. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მოდულით განსაზღვრული ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული, ხოლო დამხმარე ჩანაწერები არის სარეკომენდაციო ხასიათის.

22. კრედიტების განაწილების წესი, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და/ან მოდულებით..

23. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევით მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-სა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევითი მოდული/მოდულები შესაძლებელია შერჩეულ იქნას სხვა ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული ან ცალკე დამტკიცებული მოდულებიდან.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის შემუშავება

1. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტი შესაძლებელია შემუშავდეს/გადამუშავდეს ცენტრის ან ინიციატორის მიერ, ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად და შესაბამისი სფეროს წარმომადგენლის/წარმომადგენელთა ჩართულობით.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის სფეროს წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილება;

ბ) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაო გამოცდილება;

გ) შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში მწვრთნელის, არაფორმალურ გარემოში სწავლების ან გადამზადების სამუშაო გამოცდილება;
დ) წარმოადგენს შესამუშავებელი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესაბამის სფეროში არსებულ პროფესიულ ასოციაციას ან/და სახელმწიფო დაწესებულებას.
3. ჩარჩო დოკუმენტისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია შემუშავდეს მოდული/მოდულები ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნით:
ა) მოდულის/მოდულების ჩარჩო დოკუმენტში/დოკუმენტებში დამატება;
ბ) ბაზარზე მოთხოვნადი ცალკეული კომპეტენციის/კომპეტენციების განვითარება;
გ) არჩევითი სტატუსის მქონე დამოუკიდებელი მოდულის/მოდულების შემუშავება;
დ) ტრანსფერული საკვანძო უნარების გამომუშავების უზრუნველყოფა.
4. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის შემუშავება/გადამუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:
ა) ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ანალიზის დოკუმენტის შემუშავება;
ბ) სამუშაო ჯგუფში ჩარჩო დოკუმენტის/მოდულების პროექტების შემუშავება;
გ) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტების საჯარო განხილვა.
დ) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტების შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განხილვა;
ე) შესაბამისი დარგობრივი საბჭოს მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის დანერგვის ეტაპების შესახებ რეკომენდაციებთან ერთად ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტების ცენტრის დირექტორისთვის წარდგენა;
ვ) გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის/მოდულების ვებგვერდზე განთავსება.
5. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის შემუშავება/გადამუშავების პროცესი უზრუნველყოფს სხვადასხვა პირთა ჩართულობას ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:
ა) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის შექმნის პროცესში მონაწილეობა;
ბ) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის საჯარო განხილვებში მონაწილეობა;
გ) შესაბამისი დარგობრივი საბჭოს მიერ პროექტის განხილვებში მონაწილეობა.

მუხლი 9. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესახებ ინიცირებები, განხილვა და დამტკიცება

1. ინიცირების შემთხვევაში ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტი შემუშავდება/გადამუშავდება ამ წესის პირობების დაცვითა და ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
2. ინიციატორის მიერ ინიციატივა შეიძლება იყოს შემდეგი:
ა) ჩარჩო დოკუმენტში ან/და მოდულში/მოდულებში შინაარსობრივი ცვლილება/ცვლილებები;
ბ) ჩარჩო დოკუმენტში ტექნიკური ცვლილება/ცვლილებები ან/და მატერიალური რესურსის ცვლილება/ცვლილებები;
გ) ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება;
დ) ამავე წესის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მიზნით დამოუკიდებელი მოდულის შემუშავება/გადამუშავება.
3.ინიციატივის წარმოდგენა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ინიციატორია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურის/მოდულის ცვლილებების პროექტი;
ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ცვლილების ინიცირების მიზნით გამართული შეხვედრის ანგარიში/ოქმი დამოწმებული მონაწილეთა ხელმოწერებით და, არსებობის შემთხვევაში, ამავე ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შესახებ შიდა მონიტორინგის ანგარიშები;
გ) თუ ამ ჩარჩო დოკუმენტს/მოდულს ახორციელებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულებები, ცვლილებების შესახებ ამ დაწესებულების/დაწესებულებების ინფორმირების ან/და მათი ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების (ამოღება, დამატება, შერწყმა, გაყოფა) ინიციატივის შემთხვევაში ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:
დ. ა) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული რაოდენობრივი და/ან თვისებრივი კვლევა და/ან ბაზრის მოთხოვნა მოდულით განსაზღვრულ კომპეტენციასთან მიმართებით და/ან ცენტრის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ანალიზის დოკუმენტი;
დ. ბ) წერილობითი დასაბუთება ინიციატივის თავსებადობის შესახებ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა ან/და საერთაშორისო აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
დ. გ) დასაბუთება სფეროში ახალი კომპეტენციის დანერგვის საჭიროების შესახებ.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ინიციატორია საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არ ახორციელებს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ინიციატორის განცხადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:
ა) ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურის/მოდულის ცვლილებების პროექტი;
ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ცვლილების ინიცირების მიზნით გამართული შეხვედრის ანგარიში/ოქმი დამოწმებული მონაწილეთა ხელმოწერებით;
გ) სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების (ამოღება, დამატება, შერწყმა, გაყოფა) ინიციატივის შემთხვევაში ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:
გ. ა) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული რაოდენობრივი და/ან თვისებრივი კვლევა და/ან ბაზრის მოთხოვნა მოდულით განსაზღვრულ კომპეტენციასთან მიმართებით და/ან ცენტრის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ანალიზის დოკუმენტი;
გ. ბ) წერილობითი დასაბუთება ინიციატივის თავსებადობის შესახებ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;
გ. გ) საერთაშორისო აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება ან/და დასაბუთება სფეროში ახალი კომპეტენციის დანერგვის საჭიროების შესახებ.
6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ინიციატორი არ არის საგანმანათლებლო დაწესებულება, ინიციატორის განცხადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:
ა) ჩარჩო დოკუმენტის სტრუქტურის/მოდულის/მოდულების ცვლილებების პროექტი;
ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ცვლილების ინიცირების მიზნით გამართული შეხვედრის ანგარიში/ოქმი დამოწმებული მონაწილეთა ხელმოწერებით;
გ) სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების (ამოღება, დამატება, შერწყმა, გაყოფა) ინიციატივის შემთხვევაში ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

გ. ა) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული რაოდენობრივი და/ან თვისებრივი კვლევა და/ან ბაზრის მოთხოვნა მოდულით განსაზღვრულ კომპეტენციასთან მიმართებით და/ან ცენტრის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ანალიზის დოკუმენტი;

გ. ბ) წერილობითი დასაბუთება ინიციატივის თავსებადობის შესახებ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;

გ. გ) საერთაშორისო აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება ან/და დასაბუთება სფეროში ახალი კომპეტენციის დანერგვის საჭიროების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინიციატორის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის ელექტრონული ვერსია, რომელშიც კომენტარების სახით აღნიშნულია ინიციატორის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, ინიციატორის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ეროვნული კვალიფიკაციების თავსებადობისა და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს პროფესიულ სპეციალიზაციასთან/სწავლის სფეროსთან დაკავშირებულ მიმოხილვას (არანაკლებ სამი ქვეყნისა), შესაბამისი წყაროების მითითებით;

ბ) ცენტრის ფარგლებში შემუშავებული შესაბამისი სფეროს ჩარჩო დოკუმენტის/დოკუმენტების მიმოხილვა-ანალიზი;

გ) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული რაოდენობრივი და/ან თვისებრივი კვლევა-ბაზრის მოთხოვნა პროფესიული სპეციალიზაციის/სწავლის სფეროს/მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კომპეტენციის საჭიროების შესახებ ან დასაბუთება სფეროში ახალი პროფესიული სპეციალიზაციის/მისანიჭებელი კვალიფიკაციის დანერგვის საჭიროების შესახებ;

დ) ინფორმაცია ინიციატივის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან თავსებადობის შესახებ.

ე) საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებით გამოწვეული ინიციატივის შემთხვევაში, ამ მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, ინიციატორის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოდულის პროექტი;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცენტრის ფარგლებში ინიციატორის მიერ შემუსავებული მოდულის პროექტის სახის მოდული არ არის შემუშავებული;

გ) ინფორმაცია მოდულით განსაზღვრული ცოდნის/უნარების/კომპეტენციების საჭიროები შესახებ;

დ) ინფორმაცია ინიციატივის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან თავსებადობის შესახებ.

ე) საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებით გამოწვეული ინიციატივის შემთხვევაში, ამ მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი.

10. ცენტრი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ინიციატორს მათ გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 15 დღეს. ცენტრი უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

11. ცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინიცირების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს წერილობით პოზიციას და უზრუნველყოფს მის განხილვას შესაბამის დარგობრივ საბჭოზე, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების ინფორმირებულობით/ჩართულობით.

12. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ტექნიკური აღჭურვილობის, მათი ნორმატივების ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს რესურსის დამატებას და/ან ამოღებას, ცენტრი ინიციატორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს წერილობით პოზიციას, განიხილავს დაინტერესებული პირების ჩართულობით. ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ამზადებს პროექტს შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განსახილველად. ინიცირების შესახებ განცხადების შემოტანიდან და ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

13. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, ცენტრი ინიციატორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს წერილობით პოზიციას, რომელიც შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი შემდეგი:

ა) თანხმობა ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების შესახებ, თუ ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების დაწყებასთან დაკავშირებით ცენტრში დაგეგმილია ინიცირებული ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის შემუშავება ან იკვეთება შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის/მოდულების არსებითად განახლების/გადამუშავება-ოპტიმიზაციის საჭიროება, ან იკვეთება ახალი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების საჭიროება.

ბ) უარი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების დაწყებასთან დაკავშირებით, თუ ინიცირებული ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტი არსებობს;

გ) უარი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების დაწყებასთან დაკავშირებით, თუ ინიცირებული ჩარჩო დოკუმენტი/მოდული დამტკიცებულია;

დ) უარი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების დაწყებასთან დაკავშირებით, თუ წარმოდგენილი ინიცირებით ჩარჩო დოკუმენტის შემთხვევაში, არ იკვეთება პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები/მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, მოდულის შემთხვევაში, არ იკვეთება კომპეტენცია/კომპეტენციები;

ე) უარი ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების დაწყებასთან დაკავშირებით, თუ ინიცირებული ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავება მიმდინარეობს ინიცირების წარმოდგენის პერიოდში.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხმობის შემთხვევაში ინიციატორმა ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავება უნდა უზრუნველყოს ამ წესისა და ცენტრის მეთოდოლოგიის შესაბამისად. ინიციატორის მიერ ცენტრში ეტაპობრივად წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული ეტაპის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 10. პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და/ან მოდულის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პირობები

1. ცენტრი, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, დარგობრივ საბჭოზე განხილვამდე უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის/პროექტების საჯარო განხილვას.

2. დარგობრივ საბჭოზე პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის განხილვისას შესაძლებელია გამოიკვეთოს მათში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რაც იწვევს პროფესიული სტანდარტის/ ჩარჩო დოკუმენტების/ მოდულის გადამუშავებასა და

დარგობრივ საბჭოზე ხელახლა განხილვას. დარგობრივ სხდომის მიმდინარეობის პროცესში შესაბამის დოკუმენტში შენიშვნების გათვალისწინება და ცვლილებების ასახვა შესაძლებელია და დასტურდება შესაბამისი ოქმით, შესაბამისად ცვლილებები აღარ საჭიროებს ცალკე განხილვას.

3. იმ შეთხვევაში, თუ ჩარჩო დოკუმენტში კრედიტების მოცულობის ცვლილება გამოწვეულია ზოგადი მოდულების კრედიტების მოცულობის ცვლილებით, ჩარჩო დოკუმენტში კრედიტების მოცულობის ცვლილება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი საბჭოს სხდომის ჩატარების გარეშე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების გზით, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რეკომენდაცია დაფიქსირებულია წერილობითი ფორმით და მას ეთახმება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტს/პროექტებს განიხილავს შესაბამისი დარგობრივი საბჭო და, დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში ან დარგობრივი საბჭოს რეკომენდებული ცვლილებებით, ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

5. ცენტრის დირექტორის მიერ ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების საფუძველს წარმოადგენს ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვა და ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენება.

6. პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ტექნიკური სახის ცვლილებები ხორციელდება დარგობრივ საბჭოზე განხილვის გარეშე ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტით.

7. პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში შინაარსობრივი ცვლილებები ხორციელდება შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განხილვის შედეგად, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8. ჩარჩო დოკუმენტის ზოგად მოდულში ცვლილებები ხორციელდება განათლების დარგობრივ საბჭოზე განხილვის შედეგად.

9. პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ტექნიკური სახის ცვლილებები ხორციელდება დარგობრივ საბჭოზე განხილვის გარეშე. ჩარჩო დოკუმენტში სარეკომენდაციო მატერიალურ რესურსის ჩამონათვალში არატექნიკური სახის ცვლილებები, რომლებიც იწვევს რესურსის დამატებას და/ან ამოღებას, ხორციელდება დარგობრივ საბჭოზე განხილვის საფუძველზე.

მუხლი 11. პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში, მოდულში ცვლილების შეტანა ან გაუქმების სხვა საფუძვლები

1. ცენტრის/ინიციატორის ინიციატივით პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტსა და/ან მოდულში ცვლილებების/გაუქმების საფუძველი შესაძლებელია ასევე იყოს შემდეგი ერთ-ერთი პირობა:

ა) პროფესიული სტანდარტისა და შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტის ან მოდულის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) დარგობრივი საბჭოს დადებითი რეკომენდაცია პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის გაუქმების/ცვლილებების შესახებ;

გ) თუ აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე არ განხორციელებულა არც ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზედიზედ 5 წლის განმავლობაში ან გაუქმდა შესაბამისი პროფესიული სტანდარტ(ებ)ი;

დ) ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის განახლება.

2. ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში შინაარსობრივი ცვლილებებია ამ წესის მე-7 მუხლის მე-4, მე-5, მე-14, მე-15, მე-17 და მე-18 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, თუ ცვლილება არ ითვალისწინებს ენობრივ, ტექსტური წყობის, გამოქვეყნების/ცვლილების თარიღის,

სარეგისტრაციო ნომრის ცვლილებებს. სხვა დანარჩენი ინფორმაცია ტექნიკური სახისაა, რომელიც დარგობრივ საბჭოზე განხილვის გარეშე ხორციელდება.

3. ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ტექნიკური ცვლილებები ნიშნავს სარეკომენდაციო ინფორმაციაში ნებისმიერ ცვლილებას.

4. პროფესიულ სტანდარტში/მოდულში შინაარსობრივი ცვლილების შემთხვევაში, შემმუშავებელი ჯგუფის წევრების გრაფაში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები დოკუმენტის პირველადი ვერსიის ავტორებსა და ცვლილების ინიციატორებთან შეთანხმებით.

5. პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის ვადის ამოწურვის შემთხვევაში, განახლების შედეგი შესაძლოა მოიცავდეს პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ცვლილების შეტანას ან მის გაუქმებას, ან დოკუმენტის მოქმედების ვადის გაგრძელებას შესაბამისი დარგობრივი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

6. პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის ვადის ათვლა იწყება დამტკიცებიდან/ცვლილებების განხორციელების დღიდან ამავე დოკუმენტებით განსაზღვრული პერიოდით.

7. პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, ინიცირება ხორციელდება ამ წესით დადგენილი პირობებით.

მუხლი 12. პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულისთვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება

1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის რეგისტრაციის სისტემა ეფუძნება განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორს (ISCED-F – 2013).

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი შედგება ხუთი ციფრისაგან, რომელშიც პირველი სამი ციფრი განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ვიწრო/კონკრეტული მიმართულების კოდია, ხოლო ბოლო ორი - პროფესიული სტანდარტის რიგითი ნომერი ვიწრო/კონკრეტული მიმართულების ქვეშ და ემატება ასო „პ“.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი შედგება ხუთი ციფრისგან, რომელშიც პირველი სამი ციფრი განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ვიწრო/კონკრეტული მიმართულების კოდია, ხოლო ბოლო ორი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის რიგითი ნომერი ვიწრო/კონკრეტული მიმართულების ქვეშ და ემატება ასო „პ.

4. მოდულის სარეგისტრაციო ნომერი შედგება შვიდი ციფრისაგან, საიდანაც პირველი ხუთი ციფრი იმეორებს ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომრის ციფრებს, რომლის ფარგლებშიც მტკიცდება აღნიშნული მოდული, ხოლო ბოლო ორი - მოდულის რიგით ნომერს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.

5. მოდულს, რომელიც უცვლელად გამოიყენება ორი ან რამდენიმე ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სარეგისტრაციო ნომერი ენიჭება ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში და უცვლელად გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიზნებისათვის.

6. ზოგადი, ზოგადსაგანმანათლებლო და იმ მოდულების სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ნაწილს, შედგება შვიდი ციფრისაგან, რომელშიც პირველი სამი ციფრი შესაბამისი ვიწრო/კონკრეტული მიმართულების კოდია, შემდეგი ორი ციფრია 00, ხოლო ბოლო ორი ციფრი - მოდულის რიგითი ნომერი შესაბამისი ვიწრო/კონკრეტული მიმართულების ფარგლებში.

საექსპერტო დასკვნის ფორმა

<u>ნაწილი I</u>

გთხოვთ, შეაფასოთ თითოეული პუნქტი სამბალიანი სისტემით:

- ✓ ამოცანის მნიშვნელობა - რამდენად მნიშვნელოვანია ამ ამოცანის შესრულება თქვენი სამუშაოსთვის (1 = უმნიშვნელო, 2= მნიშვნელოვანი, 3 = ძალიან მნიშვნელოვანი)
- ✓ ამოცანის სირთულე - რამდენად რთულად სწავლებადია აღნიშნული ამოცანა, რამდენად დიდ დროს მოითხოვს ამ ამოცანის შესრულების დასწავლა (1 = ადვილი შესასრულებელი, 2= რთული 3 = ძალიან რთული შესასრულებელი)
- ✓ ამოცანის სიხშირე - რამდენად ხშირად ასრულებთ ამ ამოცანას (1 = ძალიან იშვიათად, 2= ხშირად, 3 = ძალიან ხშირად)

№	მოვალეობები/ამოცანები	მნიშვნელობა	სირთულე	სიხშირე
A				
	A1			
	A2			
	A3			
	A4			
	A5			
	A6			
	A7			
B				
	B1			
	B2			
	B3			
	B4			
	B5			

	B6			
	B7			
C				
	C1			
	C2			
	C3			
	C4			
	C5			
	C6			
	C7			
D				
	D1			
	D2			
	D3			
	D4			
	D5			
	D6			
	D7			
E				
	E1			
	E2			
	E3			
	E4			
	E5			

	E6			
	E7			
F				
	F1			
	F2			
	F3			
	F4			
	F5			
	F6			
	F7			
G				
	G1			
	G2			
	G3			
	G4			
	G5			
	G6			
	G7			

ნაწილი II:

გთხოვთ, გულწრფელად და ამომწურავად უპასუხოთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს.

პროფესიული სტანდარტი:_____

თარიღი: _____

ადგილი: _____

1. შემფასებლის სახელი და გვარი: _____

თანამდებობა:_____

საკონტაქტო ინფორმაცია:_____

2. დასაქმების სფეროს სახელწოდება და აღწერა

2.1 ეთანხმებით სახელწოდებას? ☐ კი ☐არა

თუ მიგაჩნიათ, რომ რაიმე ცვლილების შეტანაა საჭირო დასაქმების სფეროს სახელწოდებაში, გთხოვთ, ქვემოთ ჩაწეროთ თქვენი მოსაზრებები

_____

_____

_____

2.2. ეთანხმებით დასაქმების სფეროს აღწერას? ☐ კი ☐ არა

თუ მიგაჩნიათ, რომ რაიმე ცვლილების შეტანაა საჭირო დასაქმების სფეროს აღწერაში, გთხოვთ, ქვემოთ ჩაწეროთ თქვენი მოსაზრებები

_____

_____

_____

3. DACUM სქემის ელემენტების განხილვა

3.1. ჩამოთვლილი მოვალეობები შეესაბამება თუ არა დასაქმების სფეროს? ☐კი ☐ არა

3.2. თვლით თუ არა, რომ საჭიროა დამატებითი მოვალეობების დამატება ან აქ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს შეცვლა?

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები ჩაწეროთ ქვემოთ

_____

_____

_____

3.3. ჩამოთვლილი ამოცანები შეესაბამება თუ არა დასაქმების სფეროს? ☐ კი ☐ არა

3.4. თვლით თუ არა, რომ საჭიროა დამატებითი ამოცანების დამატება ან აქ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს შეცვლა?

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები ჩაწეროთ ქვემოთ

_____

_____

_____

3.5. ცოდნის ნაწილი სწორად არის თუ არა განსაზღვრული იმისთვის, რომ მოვალეობები და ამოცანები შესრულდეს? ☐ კი ☐ არა

თუ „არა", გთხოვთ ახსნათ ქვემოთ

_____

_____

_____

3.6. უნარების ნაწილი სწორად არის თუ არა განსაზღვრული იმისთვის, რომ მოვალეობები და ამოცანები შესრულდეს? ☐ კი ☐ არა

თუ „არა", გთხოვთ ახსნათ ქვემოთ

_____

_____

_____

3.7. აქ მოცემული ცოდნა და უნარები შეესაბამება თუ არა დასაქმების სფეროს მინიმალურ მოთხოვნებს?
☐ კი ☐ არა

თუ „არა", გთხოვთ ახსნათ ქვემოთ

_____

_____

_____

3.8. ეთანხმებით თუ არა ჩამოთვლილ ინვენტარს, აღჭურვილობას, მასალას, ნედლეულს?

☐ კი ☐ არა

3.9. საჭიროა თუ არა სხვა რაიმე ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული?

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები ჩაწეროთ ქვემოთ

_____

_____

_____

3.10. ჩამონათვალში თუ არის ისეთი ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული, რომლებიც დღეისთვის აღარ გამოიყენება?

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები ჩაწეროთ ქვემოთ

_____

_____

_____

3.11. სამომავლო ტენდენციები/ცვლილებები სწორად არის აღწერილი? ☐ კი ☐ არა

_____

_____

_____

3.12. თუ დამატებითი სხვა რაიმე მოსაზრებები ან შეხედულებები გაქვთ, გთხოვთ, ჩაწეროთ ქვემოთ:

_____

_____

_____

შეთანხმებული DACUM სქემა

1. დასახელება
2. დასაქმების სფეროს აღწერა
3. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები
4. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები
5. მოვალეობები და ამოცანები

მოვალეობები	ამოცანები							
A								
B								
C								

6. შესრულების კრიტერიუმები, ცოდნა და უნარები

A	*შესრულების კრიტერიუმები*	*ცოდნა*	*უნარები*
A 1			
A 2			
A 3			

7. პიროვნული თვისებები
8. მატერიალური რესურსი:
   ა) ინვენტარი, აღჭურვილობა;
   ბ) მასალა, ნედლეული.
9. მარეგულირებელი დოკუმენტები/ნორმატიული აქტები
10. სამომავლო ტენდენციები
11. პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადა

DACUM სემინარის მონაწილეები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სქემაში მოცემული ინფორმაცია ჩვენი ერთობლივი მუშაობისა და შეთანხმების შედეგია.			
პროფესიის დასახელება			
DACUM სემინარის ჩატარების ადგილი			
თარიღი			
ფასილიტატორები (სახელი, გვარი)			
1.			
2.			
სამუშაო ჯგუფის წევრები (სახელი, გვარი)	ორგანიზაცია პოზიცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.			
2.			
3.			

4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			
10.			
11.			
12.			

შემაჯამებელი ცხრილი (ვერიფიკაცია)

<u>ნაწილი I</u>

გთხოვთ, შეაფასოთ თითოეული პუნქტი სამბალიანი სისტემით:

- ✓ ამოცანის მნიშვნელობა - რამდენად მნიშვნელოვანია ამ ამოცანის შესრულება თქვენი სამუშაოსათვის (1 = უმნიშვნელო, 2= მნიშვნელოვანი, 3 = ძალიან მნიშვნელოვანი)
- ✓ ამოცანის სირთულე - რამდენად რთულად სწავლებადია აღნიშნული ამოცანა, რამდენად დიდ დროს მოითხოვს ამ ამოცანის შესრულების დასწავლა (1 = ადვილი შესასრულებელი, 2= რთული 3 = ძალიან რთული შესასრულებელი)
- ✓ ამოცანის სიხშირე - რამდენად ხშირად ასრულებთ ამ ამოცანას (1 = ძალიან იშვიათად, 2= ხშირად, 3 = ძალიან ხშირად)

№	მოვალეობები/ამოცანები	*მნიშვნელობა*	*სირთულე*	*სიხშირე*	*საშუალო*
A					
	A1				
	A2				
	A3				
	A4				
	A5				
	A6				
	A7				
B					
	B1				
	B2				
	B3				
	B4				

	B5				
	B6				
	B7				
C					
	C1				
	C2				
	C3				
	C4				
	C5				
	C6				
	C7				
D					
	D1				
	D2				
	D3				
	D4				
	D5				
	D6				
	D7				
E					
	E1				
	E2				
	E3				
	E4				

	E5				
	E6				
	E7				
F					
	F1				
	F2				
	F3				
	F4				
	F5				
	F6				
	F7				
G					
	G1				
	G2				
	G3				
	G4				
	G5				
	G6				
	G7				

სასწავლო გარემოს მოდელები

სასწავლო გარემოს მოდელები

მოდელი A	
სასწავლო გარემოს მოდელი	A
სასწავლო გარემოს ზოგადი აღწერა	სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.
ფართი	
სასწავლო ფართი	არანაკლებ 2მ^2 ერთ პროფესიულ სტუდენტზე
ჭერის მინიმალური სიმაღლე	2,5 მ
შესასვლელი კარი	ერთი
განათება	
ბუნებრივი განათება	სავალდებულოა
ხელოვნური განათება	სავალდებულოა
სანიტარულ-ტექნიკური მოთხოვნები	
იატაკი	არაინდუსტრიული
ვენტილაცია	ბუნებრივი
ელექტრომომარაგება	
ელექტრომომარაგების სახე	ერთფაზიანი
ქსელი	
ტიპი	ინტერნეტთან წვდომა

მოდელი B	
სასწავლო გარემოს მოდელი	B
სასწავლო გარემოს ზოგადი აღწერა	სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია.
ფართი	
სასწავლო ფართი	არანაკლებ 2მ^2 ერთ პროფესიულ სტუდენტზე
ჭერის მინიმალური სიმაღლე	2,5 მ
შესასვლელი კარი	ერთი
განათება	
ბუნებრივი განათება	არსებობის შემთხვევაში ფანჯრებზე არსებობს შუქისაგან დამცავი საშუალებები
ხელოვნური განათება	სავალდებულოა. კომპიუტერის ეკრანის განათების დონე არ უნდა აღემატებოდეს ოთახის განათებას.
სანიტარულ-ტექნიკური მოთხოვნები	
იატაკი	არაინდუსტრიული
ვენტილაცია	ბუნებრივი
ელექტრომომარაგება	
ელექტრომომარაგების სახე	ერთფაზიანი
ქსელი	
ტიპი	შიდა ქსელი, ინტერნეტთან წვდომით

მოდელი C - პირობითი სახელწოდება

სასწავლო გარემოს მოდელი	C - პირობითი სახელწოდება
სასწავლო გარემოს ზოგადი აღწერა	სპეციფიკური სასწავლო გარემო საერთო შენობაში ან/და ცალკე მდგომი შენობა ან/და გარე სივრცე. მოთხოვნები დადგენილია ინდივიდუალურად.

ჩარჩო დოკუმენტის დასახელება /მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....

N	მოდულის დასახელება	სასწავლო გარემო A/B/C	ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული (მოდულის მიხედვით)		რაოდენობა	საზომი ერთეული	შენიშვნა
			ინვენტარი, აღჭურვილობა				
1							
2							
3							
4							
5							

№	A და B სასწავლო გარემოს ინვენტარი	A სასწავლო გარემო		B სასწავლო გარემო		
		რაოდენობა	საზომი ერთეული	რაოდენობა	საზომი ერთეული	
1	პროფესიულისტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	1	კომპლექტი	1	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
2	მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	1	კომპლექტი	1	კომპლექტი	ჯგუფზე
3	დემონსტრირების ციფრული საშუალებები	1	ცალი	1	ცალი	ჯგუფზე
4	დაფა	1	ცალი	1	ცალი	ჯგუფზე
5	კომპიუტერი მასწავლებლისათვის	1	კომპლექტი	1	კომპლექტი	ჯგუფზე
6	კომპიუტერი პროფესიულ სტუდენტზე			1	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე